მამია გერიშვილი

# ჩემი პასუხი

ბატონ გიორგი წერეთლის საყვედური, ჩვენი საყვედური არ არის.

თბილისი, 1988 წლის სექტემბერი

# ჩ ე მ ი  პ ა ს უ ხ ი

## ბატონ გიორგი წერეთლის სატკივარი, ჩვენი სატკივარი არ არის.

აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, რომ პარიზის ქართულ სათვისტომოში და პოლიტიკურ დაჯგუფებათა წრეებში თავდასხმა და გინება ისტორიას ჩაბარდა. მართალია სათვისტომოში ზოგიერთები პიროვნულად ერთი მეორეს ვერ იტანდენ, ან განდიდების მანიით შეპყრობილი, ვინმე მიიწერდეს იმას, რაც არასდროს არ ჰქონებია და არც არასდროს ექნება, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური ემიგრაციის არც თავის სატეხი და არც სატკივარი.

შეიქნა შთაბეჭდილება, რომ ემიგრაციამ ურთიერთ შორის მშვიდობიანობის გზას დაადგა, მაგრამ, როგორც იტყვიან "ჯოჯოხეთს ნიგუზალი აკლდა და ისიც ეშმაკმა მიიტანაო", ადგა ბატონი წერეთელი და იმ სახაცილო არგუმენტით,რომ "მხოლოდ ჩვენი ეროვნული ემიგრაციით შემოიფარგლოსო", ფუთხში მოზელილი ტალახი ყველას ესროლა. განა აქვს ბატონ წერეთელს იმის თილისმური საშუალება,რომ მისი ნაცოდვილარი სატკივარი გამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ ჩვენს დედაქალაქში არ ჩავიდა? გასაყუყეჩებელია, ბატონ წერეთლის სიტყვით რომ ვთქვათ, როგორ მოახერხა ამ კაცმა, რომ თავისი კლანჭები გაჰკრა ყველას:

I. – "ჩვენი ემიგრანტული პრესა საკმაო მაღალ დონეზე არ დგას, არც ფორმით და არც შინაარსით"(ალბათ, გარდა"გუშაგისა".მ.ზ.).

II. – გაზეთი"ჩვენი დროშა" "მოწინააღმდეგეთა მიმართ შეწყნარებლობას არ უნდა იჩენდეს...ბევრ წვრილ-წვრილ ცოდვებს აღმოვაჩენთ...დემაგოგიურია და მეტიც, ტოტალიტარული...ანტი-დემოკრატიული შეხედულება...მოწინააღმდეგეთა მიმართ უშვერი ლანძღვა-გინება იშვიათი არ არის...ინტრიგანული და პროვოკაციული...ხომ არ ჰგონია ბატონ ლევანს ეს მას ანთავისუფლებს მათი შინაარსის პასუხისმგებლობიდან-ო" და სხვა.

III. – "ანტი-დემოკრატიული შეხედულება...სამწუხაროთ, ასეთი ჩვეულება ფართოდ თოდ იყო გავრცელებული ჩვენს ემიგრანტ სოციალისტებში,რაც,როგორც ჩანს,დღემდე ცოცხლობს".

IV. – ნოე ჟორდანიას თურმე "ხალხის მიერ ბოძებული ნიჭი ხალხსავე შეუძლია უკან წაიღოს". გაიგეთ?

V. – საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროში ხომ ყველაფერი არეულია, "რომელიც მიგვანიშნებს, რომ სოციალდემოკრატიული პარტიის ბიუროში თანხმობა არ სუფევს...უთანხმოება ძალიან რბილი სიტყვაა ამ შემთხვევაში, უთანხმოებას კი არა ნამდვილ განხეთქილებას აქვს ადგილი". აქ კი მინდა შევეკითხო ბატონ წერეთელს: ვინ დანიშნა ის საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის შინაური მოქმედების ხაზის მიმცემლად?

VI. – ბატონ მ.ქავთარაძესთან, რომელმაც "სარედაქციო კოლეგიაში თანამშრომლობა პირველად ჩემთან დაიწყო 'თავისუფლების ტრიბუნაში', რომელიც მან განსაკუთრებით ცუდ დროს მიატოვა... მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი ღალატისა, ჩვენს შორის ურთიერთპატივისცემაა", და სხვა.

VII. – "ბატონ თამაზის ღია წერილის შინაარს როდი ვამობ...,არამედ უკადრის უშვერ ფორმას... ზრდილობიან ფორმაში გამოთქმული, ის იქნებოდა სასარგებლო... ის კი ქუჩის ბიჭურ ლანძღვა-გინების ღვარცოფს წარმოადგენს,რაც პირველ რიგში თავს ასხამს ლაფს მის ავტორს." ბატონ წერეთლის "თავლაფის დასხმა" – ეს მისებური ღვთის წყალობა არის და სხვა არაფერი.

VIII. – ბატონი ისახარიძე ხომ მისი ძველი მეგობარია და"მის ჩამოსვლას ხომ დიდი იმედით ველოდით" და მასზედ როგორ იკადრებს ცუდის თქმას გარდა "გზააბნეული", რომელიც "ამდენ მცდარ თუ ტყუილ განცხადებებს აკეთებს",რომელსაც "ჩემი შეფასებით, არავითარი შანსი აღარ დარჩა პოზიტიური როლის სათამაშებლად".

IX. – ეროვნული საბჭოს ხომ სულ "მოსპო და გაანადგურა",რადგან თურმე "მას არ გააჩნია არავითარი, არც იურიდიული და არც მორალური ბაზა". და უფრო მეტიც:"მიუხედავად ამ თვალის დამთხრელი სინამდვილისა 'ჩვენი დროშას' პარალელურად გამოსვლა დაიწყო "მებრძოლ საქართველოში"....პირველის არსებობა ნიშნავს მეორესათვის ზურგში მახვილის ჩაცემას", და სხვა.

X. – "ყველა ჩვენი სათვისტომოების გამგეობების და მათ შორის პარიზისაც მთავარი მოვალეობაა", ამბობს წერეთელი, და იძლევა გეგმას თუ რას უნდა აკეთებდენ. მან 1984 წელში შემოდგომას კი გადაეცია, მაგრამ,როგორც ჩანს,არაფერი გაკეთებულა და საყვედურობს,რომ ვის მიმართა ამ საკითხზე თ.ნასყიდაშვილმა არ იცის. ის"ვალდებული იყო,რომ ჩემთვის მოემართა".

XI. – საქართველოს მთავრობის არქივის და მისი შემნახველი კომისიის შესახებ ბატონი წერეთელი თავისი ე.წ.კრიტიკით ამტკიცებს, რომ მას არც არაფერი გაეგება, არც არაფერი ესმის და არც არაფერი იცის. ამიტომ თხზავს გაუგონარ

ულოღიკო თავისებურ დასკვნებს და წერს:"ვინაიდან მთავრობა(ხაწყალი მთავრობა! მ.ბ.) ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობდა,კ.კანდელაკის სიკვდილის შემდეგ ბუნებრივად ამ უკანასკნელის ხელში გადავიდა მთავრობის განკარგულებაში მყოფი ლევილის მამული და არქივიც". განა ამის დამწერს ლოღიკა აქვს,რომ თურმე ეროვნული საბჭო კი არ თანამშრომლობდა მთავრობასთან, არამედ ნოე ჟორდანია,ევგენი გეგეჭკორი,კ.კანდელაკი თუ აკაკი ჩხენკელი თანამშრომლობდნენ ნოე ცინცაძესთან, რადგან ეროვნული საბჭოს თავჯდომარე იყო ის. მაგრამ შეიძლება ვკითხოთ ბატონ წერეთელს, რატომ მაშინ ნ.ცინცაძის ხელში არ გადავიდა მამული , არქივი და სხვა მეტად ძვირფასი დოკუმენტები? ნ.ცინცაძეზე მთავრობის ფუნქციების მინიჭების მტკიცებით, ბატონი წერეთელი,როგორც ეროვნული საბჭოს მაშინდელი მდივანი, ნ.ცინცაძის გარდაცვალების შემდეგ, ხომ არ ფიქრობს,რომ მთავრობის ფუნქცია მდივნის ხელში გადავიდა?!..

სატირალია, რომ ბატონი წერეთელი გვახსენებს "ბატონ კ.კანდელაკის გარდაცვალებით...შეწყდა ეროვნული მთავრობის არსებობაც.არც აკ.ჩხენკელს, არც გ.ერაძეს და არც ნოე ცინცაძეს პრეტენზია არ განუცხადებიათ(ალბათ, არ თხოვეს ნებართვა ბატონ წერეთელს.მ.ბ.)მთავრობის უფლებაზე". აბა, რა ჯანდაბა იყოის, რომ კ.კანდელაკისა და აკ.ჩხენკელის სიკვდილის შემდეგ, გ.ერაძემ და რ.არსენიძემ მოიწვიეს კოოპტაციის წესით პასუხისმგებელი პირები,მათ შორის, ნ.ცინცაძეც და "დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილ მინისტრთა კოლეგიის"სახელით, გ.ერაძის თავჯდომარეობით, განაახლეს მუშაობა, რომელმაც იარსება გ.ერაძის გარდაცვალებამდე. განა ამის შესახებ გ.წერეთელს არასდროს არაფერი არ გაუგონია? ნუ თუ ეს დასაჯერებელია? და უფრო მეტიც: მან ძალიან კარგათ იცის, რომ "ამერიკის კომიტეტის" შეხედულებამ რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ,მთავრობა აიძულა, რომ ეროვნულ საბჭოში ნ.ცინცაძე გაეგზავნათ,მიუხედავათ იმისა, რომ ეროვნული საბჭოს დაარსების დროს ნ.ცინცაძე ოპოზიციაში იყო. რასაც ბატონი წერეთელი წერს ნ.ცინცაძეზედ, ეს წარმოუდგენელია,რადგან ეროვნული საბჭოს დაარსების დღიდან სწორედ ის "რუსოფილობისათვის" ებრძოდა მას და ამ ნიადაგზედ არავის არ ასვენებდა, და მეტიც!

XII. - ბატონ წერეთლის ლოღიკით, თურმე,როცა,თუ გინდ მოსაწვევ ბარათს,ორი კაცი აწერს ხელს,"გამოდის ისე თითქოს პირველი თავჯდომარე და მეორე კი მდივანია".განა თუ ასეთსავე დოკუმენტს 10 კაცი აწერს ხელს, ხუთი თავჯდომარეა და 5 მდივანი? რის შემდეგ ის გვარწმუნებს, რომ ბატონი ურუშაძე არასდროს არ ყოფილა ეროვნული საბჭოს თავჯდომარე; მერე რა? განა ამაზე მას ვინმე ედავება? უდაო არის, რომ ბატონმა წერეთელმა ეროვნულ საბჭოს ლევილის ყრილობის შესახებ არაფერი არ იცის; ალბათ იმიტომ, რომ "ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია",რომლის თავჯდომარე თვითონვე იყო, მან დიდი ხანია დამალა.ლევილის ყრილობას კი ესწრებოდნენ: სოციალდემოკრატები,მათ შორის ვ.ჩუბინიძე როგორც სრულუფლებიანი წევრი, სოციალისტ-ფედერალისტები და თეთრი გიორგელები. მართალია,ყრილობაზე შეთანხმება ვერ მოხდა,რის გამოც ეროვნული საბჭო მიუნხენში "ბარიზის ბლოკის" ყრილობაზედ წარსდგა ორი დელეგაციით,მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

XIII. - ბატონი გ.წერეთელი აკრიტიკებს რა რადიო"თავისუფლების" ქართულ რედაქციას,ეუბნება, რომ "რადაა იგი სინათლე,რასაცა ახლავს ბნელიო", და აძლევს ორგანიზაციულ მითითებებს და მუშაობის ხაზს.

XIV. - ლევილის ქართული მამულის შესახებ რასაც ის წერს, ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთია და მის წამკითხველს, რომელიც იდნავ საქმის კურსშია მამულის ფორმალური და იურიდიული მხარეებისა, არ შეიძლება გული არ აერიოს,რადგან ჩანს,რომ ის რაღაცას ეძებს, რაღაცას ჩხრეკს; რას? ალბათ,თვით მანაც არ იცის; და აი რატომ: 1901 წლის 1 ივლისის დეკრეტით, დაარსებული ასოციაციისათვის აუცილებელია პრეფექტურის ნებართვა. ის იმყოფება მისი სრული კონტროლის ქვეშ,და ვალდებულია ჰქონდეს პრეფექტურის მიერ დამტკიცებული სტატუსი. ასოციაციამ ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს მას შემოსავალ-გასავალის ანგარიში, იმ ცვლილებებით თუ რაიმე მოხდა ასოციაციის ადმინისტრაციაში. გარდა ამისა აუცილებელია,რომ ასოციაციას ჰქონდეს თავისი შინა განაწესი, ყავდეს წევრები და გენერალური ანსამბლის მიერ არჩეული ადმინისტრაცია, რაც წესის მიხედვით ყველაფერი არის დაცული ქართული კერის ასოციაციაში, როგორც საჭიროა, და ამასდროს ამ მხრივ მას რაიმე გართულება არ ქონებია ადმინისტრაციასთან. პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულია,როცა ბატონი წერეთელი მდებს ბრალს, რომ "სანამ თავჯდომარე გახდებოდა მ.ბერიშვილი დიდი ხნის განმავლობაში კერის მოლარე იყო.როგორც ირკვევა, ის ვერაფრით ვერ დაითანხმეს, რომ ანგარიშები ჩაებარებინა ჯერ თვით ადმინისტრაციისათვის და შემდეგ კერის საზოგადოებისათვისო". რა უნდა ამით თქვას მან გარდა იმისა, რომ ალბათ მ.ბერიშვილი სხვის ფულს ითვისებდაო. ისე ის ღმერთმა შეარცხვინოს, რადგან ამ საქმეების მოხელე ბერიშვილი არ არის და მან მიაკითხოს იმას,ვინც ასეთ საქმეებს დაჩვეულა და სპეციალისტია. როცა 1972 წელსგენერალური ანსამბლის მიერ არჩეული ვიქენი მოლარეთ, მაშინ მამულის

მდგომარეობა იყო კრიტიკული,რადგან მამულს ჰქონდა ვალები. ადმინისტრაცია ვალდებული იყო რაიმე სახსრები გამოენახა და მართლაც მონახა. მასალებს,რაც საჭირო იყო ვყიდულობდით ქალბატონ ნინა რამიშვილისა და მ.ბერიშვილის ფულით. მართალია, სესხის სახით, მაგრამ ადმინისტრაციისათვის ეს იყო უდიდესი დახმარება. სამუშაოებს ვასრულებდით თვით ჩვენ. ეს ის დროა,როცა სხვა მესხეზელი და არც თოხის დამკვრელი არ ჩანდა. ჩვენ ჩვენივე სამუშაოებით გავაკეთეთ ისე, რომ საქმე არ გაგვიფუჭებია და ქართული მამული ფეხზე წამოვაყენეთ.მაშინ სხვა დამხმარე არავინ გვინახავს და სასაცილოა,როდესაც ბატონი წერეთელი წერს "აქ ქართული ცხოვრება უნდა დუღდესო". იმ დროსაც კი, როდესაც სათვისტომო სახლს აწყობდა მამულში, ყველაფერი სამუშაო ქალბატონ ლილა და ბატონ გიორგი ნოზაძეების კისერზე გადადიოდა. სად იყო მაშინ ბატონი გ.წერეთელი თუ გინდ მაგიდების დალაგებაზე მაინც წამოეკრა ხელი ან ბალახის მოსათიბავად ასი ფრანკი მაინც გაეღო? უფრო მეტიც: გასაყუჩებელი კი არა გადასარევია, როცა ის ადმინისტრაციას ბრალს დებს ოთახების ცუდ განაწილებაში, და ამბობს: "დავასახელებ პირველ რიგში ქართულ კერაში ახალი ბინების მიღებასო!.." თუ ამას ძველი ადმინისტრაციის წინააღმდეგ ლაპარაკობს, მაშინ მამულში ცხოვრობდენ ნ.ჟორდანია,ევ.გეგეჭკორი,მარო რამიშვილი,აკ.ჩხენკელი,კ.კანდელაკი,გ.ერაძე,ს.წერეთელი,ფ.მარაძე,ის.ქარსელაძე,ვ.მაჭავარიანი,გრ.ურატაძე,ლ.ერქომაიშვილი,ნ.გოგუაძე და ვ.ზაქარიაძე.აქედან ვინ უნდა გამოეგდო ადმინისტრაციას მამულიდან, რომ შეესახლებინა ბატონი მარაბიძე,რომელიც,როცა კ.ჩხაიძესთან ცხოვრობდა და არაფერს იხდიდა, მაშინ დადგებოდა "მატონ" წინ და მის მყიდველებსა და მის მცხოვრებთ ლელას აგინებდა!.. და თუ ახლანდელ ადმინისტრაციაზედაც ვრცელდება საყვედური ბინების უკანონო განაწილების შესახებ,როგორც ის წერს, "მატონში მცხოვრებლად ზოგჯერ ღებულობდენ შედარებით შეძლებულთ, რომელთაც შეეძლოთ მამულისგარეშე შეეძინათ ბინაო", მაშინ ლოლიკა მოითხოვდა, რომ ბატონი წერეთელი მატონში არ შემოსულიყო და ბინა, როგორც ის წერს, "უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ზოგიერთ ჩვენი თანამემამულეებისათვის" დაეთმო!.. შეიძლება მან მისი ლოლიკა კარნახობს, რომ მისი დებულება მხოლოდ სხვაზე ვრცელდება და არა მასზედ, რადგან მატონში მცხოვრებთა საინფორმაციო კრების დროს მან საზეიმოთ განაცხადა:" **Je ne suis tout de même pas n'importe qui**".
მაგრამ მატონში ცხოვრების უფლება ყველას ჰქონდა, ყველას აქვს და ყველას ექნება, არა ცენზის, არამედ ოთახის თავისუფლების მიხედვით.

ჩემს მოლარეობის დროს, რომელიც გაგრძელდა 12 წელიწადზე მეტი,ადმინისტრაციის თავჯდომარე იყო ქალბატონი ნამეცია გოგუაძე,რომელმაც გენერალური ანსამბლე მოიწვია სამ-ჯერ და სამივე-ჯერ მადლობის გამოცხადებით ვიქენი არჩეული მოლარეთ. სალაროს კონტროლს აკეთებდა ყოველად პატიოსანი და ყველასაგან პატივცემული ადამიანი ბატონი ირაკლი ჯაფარიძე; და თუ ბატონ პავლე ვაშაძეს მისი ნდობა არ აქვს, ეს მამია ბერიშვილის ბრალი არ არის.უფრო მეტიც,1983 წლის 26 სექტემბრის სალაროს კონტროლს ხელს აწერს ბატონი ა.ფალავა,ირ.ჯაფარიძე და პ. ვაშაძე. მაშ, ამის შემდეგ ნუ აღელდები და ნუ მიმართავ ბატონ გ.წერეთელს ისეთი სიტყვებით,რაც მას ეკუთვნის?!..

განდიდების მანია ძველადაც არსებობდა და ეხლაც არსებობს, მხოლოდ ვერ გამიგია, ბატონ გ.წერეთლის ბრომურა ვის ემსახურება; მხოლოდ ერთი-მეორეზე გადაკიდების და წასისინების შედევრია.აბა, რა შუაშია იმში დაღუპულთა ძეგლის დადგმაში ან მის აღებაში მამულის ადმინისტრაცია,რომლისთვისაც არავის არაფერი უკითხავს; მხოლოდ დაგვაყენეს ფაქტის წინაშე. მაგრამ როცა საქმე გამწვავდა და საქმეში ჩაერია, "ანსიენ კომბატანტების" საზოგადოება" და "ანტირასისტული ლიგა", დეპარტამენტის მასშტაბით, მაშინ მოვიდა ქალაქის მერი და აგვიხსნა მდგომარეობის სირთულე. ქალბატონ ნამეციამ და მე მივეცით გარანტია და დავარწმუნეთ, რომ ძეგლის დადგმაში "მატონში" მცხოვრები არაფერ შუაშია, რის შემდეგ მან გვითხრა, რომ "მიუხედავათ ქართველების დიდი პატივისცემისა, თავიდან რომ ავიშოროთ სხვა და სხვა აგრესიული აქცები, იძულებულია ძეგლი აიღოს რაც შეიძლება დაჩქარებით, და დასძინა, რომ ძეგლზე ეწეროს: "1921 წლიდან საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთათვის სხოვნის აღსანიშნავადო". ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს,რომ წინააღმდეგი ვიყოთ,მაგრამ "1941 წელს საქართველოსთან არაფერი საერთო არ აქვსო". და ყველაფერი დამთავრდა ამით. რა თქმა უნდა, ბოროტებითა და შურით ავსებულმა ზოგიერთმა ჩვენმა "რჩეულებმა" გველის ენა აასისინეს და ყველაფერი დააბრალეს ჩემს მეუღლეს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ქვეყანაში მყოფთათვის ეს სასაცილოა,რადგან საფრანგეთს თავისი ადმინისტრაცია ჰყავს და თვით კარგათ იცის რა უნდა გააკეთოს. მათ ჩემი მეუღლის რჩევა არ ესაჭიროებათ.

ბატონი გ.წერეთელი არაფერს არ ერიდება და მამულში სადაო საკითხთა შორის ერმალო ყავრელიშვილიც კი შეუცდენია, რომელსაც 25 წლის განმავლობაში ჩვენი ზრუნვა და დახმარება არ მოკლებია; და როცა მას ზოგიერთები გაერბოდენ ჩვენ არაფერს არ ვაკლებდით. ის ჩვენ ოჯახში არც ერთ პურმარილს არ დაკლებია და მის დღეობასაც ჩვენ უმართავდით. ეს ასე გაგრძელდა სანამ ბოროტმა ადა-

მიანებმა, ისედაც ავადმყოფი ადამიანი წონასწორობიდან არ გამოიყვანეს. ერთ
დღეს ერთად ვისადილეთ, მშვენიერ ხასიათზე იყო და წავიდა დასასვენებლად.
არ გასულა ნახევარი საათი, რომ ერთი გაიძვერა გვერდის ენით, შევიდა მის ოთა-
ხში. ერთ საათ-ნახევარში ეს ცნობილი ქვეწარმავალი წავიდა; დაახლოებით ხუთ
წუთში გამოვიდა ერმალო, მაგრამ შევეშინდებოდა შეხედვა;თვალებგადაბრაწულმა
გიჟის სახით დაიწყო ყვირილი, თქვენ ასეთები, თქვენ ისეთები,თქვენ ესხელებო
თქვენ კომუნისტებო, რა ქენით ეს, რომ ისტორიული ძეგლი აალებით და სხვა. რა
თქმა უნდა, დავინახე რა, რომ თავს ვერ იკავებდა, თავი დავანებეთ და ვიფიქ-
რეთ, რომ როგორც ყოველთვის დაფიქრდებოდა და იმ ვიგინდარას ნაჩურჩულებს დაი-
ვიწყებს და ისევ მეგობრად დავრჩებით. მაგრამ სხვა გაიძვერებმაც კვერი და-
უკრეს და მისი მდგომარეობა შეიქნა ტრაგიკული; ხელში ეკავა კეტი და ყველგან
იმუქრებოდა. დაიწყო ყველაფრის მტვრევა რკინის ზოდებით, ასე რომ, იძულებული
გავხდით დაგვეძახებია მეხანძრეებისათვის "კონსტაცის" გასაკეთებლად.მაგრამ
როცა მდგომარეობას შეხედეს და გაიგეს იარაღი ჰქონდა, მაშინვე მოიყვანეს
პოლიციელები, რომლებმაც იარაღი წაიღეს და ამით გათავდა ყველაფერი. რა შუა-
შია აქ მამულის ადმინისტრაცია ან მე? იცით მე რა შემიძლია ვთქვა: იმის კი-
ხერზე იყოს ერმალოს ცოდვა, ვინც მას შეუჩნდა და გადარია. იმ ვიგინდარას
ალბათ თუ რაიმე მადა არსებობს ძაღლივით ყეფაში ამოახდენს მის მყრალ ბოროტ
სულს!..

ბატონი გ.წერეთელი იცის თუ არა ყველაფერში ერევა. აბა, რა მოსახსენებ-
ელია, რომ ადმინისტრაციას "სასამართლოში აქვს საქმე გიორგი ყიფიანის ქვრივ
ქალბატონ ირინე ყიფიანთან". აქ ადმინისტრაციამ იცის, რომ არც გ.ყიფიანი
და არც მისი ცოლი ოფიციალურად მამულში არ ცხოვრობდნენ, რადგან სტამბაში მუ-
შაობის გასაადვილებლად მას ოთახი ათხოვეს ყოველგვარი ფორმალობის გარეშე,
რის შემდეგ, 1969 წელს მოხდა მათი შეუღლება,სადაც ცოლ-ქმარი ამოდიოდნენ შა-
ბათ-კვირაზე დასასვენებლად. ეს გაგრძელდა 1974 წლამდე,რის შემდეგ მოხდა
მათი ერთმანეთისაგან დაშორება. ცოლი დარჩა პარიზში,ქმრის ბინაზე,რომელიც
გიორგიმ მას დაუტოვა საკუთრად, თვითონ კი გადმოვიდა "მატოში" მუდმივ საცხ-
ოვრებლად. კვირიკაში წასვლის წინ,სადაც მან მძიმე ოპერაცია ჩინებულად გა-
დაიტანა, გიორგიმ გამოცვალა ოთახის გასაღები და კლიტე, მე ჩამაბარა გაფრთ-
ხილებით, რომ მისი ცოლი არასგზით შიგ არ შემეშვა. საერთოდ მათი განშორების
შემდეგ, გიორგის ცხოვრება შეიქნა აუტანელი,რადგან ის იძულებული იყო,როგორც
ის ამბობდა, მოესმინა ტელეფონზე მისი ცოლის ყოვლად შეურაცხმყოფელი ლაპარა-
კი, რომელიც თავდებოდა ყოველთვის "გირეკავ იმისთვის, რომ გავიგო წაიხჩვი
თუ არაო". უფრო მეტიც, ის იღებდა თავისი ცოლიდგან ყოვლად ბინძურ ვულგარულ
წერილებს, რომლებსაც, როცა მეგობრებს უკითხავდა, თვალები ყოველთვის ცრემლე-
ბით ევსებოდა. მიკვირს, რომ მისი წერილების შინაარსის მცოდნე ხალხთან,რო-
გორ უნდა იცხოვროს მამულში და არ გაწითლდეს, რადგან მართლაც, რომ გასაწით-
ლებელია. გ.ყიფიანი გარდაიცვალა საავადმყოფოში და რადგან ჩვენ ვპატრონობდით,
პასუხისმგებლობაც ჩვენ ვიყავით ჩაწერილი. გარდაცვალებაც ჩვენ გვაცნობეს და
იქნა ზომები მიღებული ტანისამოსის მისატანად და რაც იქ ჰქონდა საჭირო ტუა-
ლეტისათვის, ჩვენვე ჩაგვაბარეს. სამწუხაროა არის, რომ მისმა ცოლმა ისიც
არ იცოდა სად გარდაიცვალა საწყალი ტუსია? მაგრამ უფრო სამწუხაროის არის,რომ
როცა გაიგო გიორგის გარდაცვალება, მისი პირველი რეაქცია იყო: დაურეკა მის
პირველ ცოლს და უთხრა, რომ ეპატრონებია გარდაცვალებულისათვის, რადგან ისინი
ერთად არ ცხოვრობდნენ!..

ყველა ამის შემდეგ, მე ვთხოვე განსვენებული გ.ყიფიანის მეგობრებს,რომ
ის ღირსია, რომ ერთი პატარა პანაშვიდი გადახდილ იქნეს მისი ხსოვნის აღსა-
ნიშნავად...

ბატონ გ.წერეთლის"სატკივრებიდან" რომელ ერთს გასცე პასუხი ძნელია,რად-
გან ისეა ყველაფერი არეულდარეული, რომ ასავალ-დასავლის გაგება შეუძლებელია.
მაგრამ ერთი კი აუცილებელია და ვთხოვ მეპატრონეთა "სოსიეტეს" წევრების ჩა-
მომავლობას, რომ ბატონ წერეთლეს ამ უმსგავსო ბრალდებებზე აუცილებლად გა-
სცენ სათანადო პასუხი, რადგან აქ მან რუბიკონი კი არ გადალახა, არამედ წა-
ბილწა კიდეც; და აი რატომ: "ასეთი მნიშვნელოვანი თანხების უანგარიშო ხარჯვა
ყოვლად წარმოუდგენელია. მაგრამ როგორც ჩანს, ეს წარმოუდგენელი წესი ყოფილა.
ის ასე მომდინარეობს თურმე მამულის შეძენიდან დღემდე". რას ჰგავს ეს? ეხლა
ის იმ ზომამდე მივიდა, რომ ჩვენი დიდებული ადამიანების ცხედრებსაც აღარ
გვიყენებს მიწაში, რომ პატიოსნად და ღირსეულად განისვენონ!..
ნუთუ ნ.ჟორდანია, ნ.რამიშვილი, ევ.გეგეჭკორი, ვ.კანდელაკი, აკ.ჩხენკელი,
ექვ.თაყაიშვილი და ს. ფირცხალავაც "ასეთი მნიშვნელოვანი თანხების უანგარიშო
ხარჯვას" იყვნენ დაჩვეულნი? არა, აქ მას ასეთი საქციელისათვის პასუხი უნდა
მო თხოვოს ჩვენი დიდი ადამიანების ჩამომავლობამ!.. მათ ნათელ ხსოვნას ასეთი
ეხლა აკლდა!.. რაც შეეხება ეხლანდელ ადმინისტრაციაზე "ასეთი მნიშვნელოვა-
ნი თანხების ხარჯვას", ჯერ ერთი, რომ მას არ გააჩნია. ამიტომ სანამდე არ
დაიღლება, მანამდე წერის...ეს ყურადღების მისაქცევი არ არის,რადგან მომა-
ვალი გენერალური ანსამბლეზე, როგორც ყოველთვის, ანგარიში იქნება წარდგენი-

ლი, როგორც საჭიროა. ჩვენ იმას ვწუხვართ, რომ ამ სამ წელიწადში აუცილებლად უნდა ვიშოვოთ 140-დან 150-ათასამდე ფრანკი, რომ თავზე არ დაგვენგრეს ბინა, რომელშიც ქალბატონი ნამეცია გოგუაძე ცხოვრობდა, რადგან აუცილებლად გადახურვას მოითხოვს.

ბატონი წერეთელი იმ ზომამდე მიდის, რომ ის არაფერს არ ერიდება და არც არაფერს არ თაკილობს; მაგრამ როგორ გინდა არ აღელდე ადამიანი თუ გინდ ძლიერ მშვიდიც კი! ის ყველაფერს თხზავს, რომ სხვაზედ თავისი მრუდი კრიტიკა გაამართლოს. აი, მაგალითად, რას წერს ის ჩემზე. "ამ კამათში მას ლ.ზურაბიშვილიც კი შემოყავს და მისი მტკიცების სასარგებლოდ იმოწმებს, რაც სინამდვილეს არ წარმოადგენს". ამ შემთხვევაში ჩვენს შორის ერთერთი ფურთხის ღირსია, რადგან ადამიანი, რომელიც გარდაცვლილ კაცს იმოწმებს სიცრუის დასამტკიცებლად, მეტის არაფრის ღირსია. მაგრამ ის კაცი, რომელიც გარდაცვლილ პიროვნებას იმოწმებს მის ღვარძლით სავსე სიცრუის გასამართლებლად, ფურთხის კი არა ფურთხების ღირსია; და აი რატომ: იმ პერიოდში, რომელზედაც ბატონი წერეთელი ლაპარაკობს, სათვისტომოსა და მამულის ადმინისტრაციას შორის მდგომარეობა ერთობ დაჭიმული იყო, რადგან იმ ბრალდებებს, რომლებსაც ეხლა ბატონი წერეთელი შვისაყვედურებს, რომ სოციალისტები განაგებენ, ბინებს უსამართლოდ ანაწილებენ და სხვა. ამაზედ ემატებოდა, რომ მამულის ქონებას ანიავებენ, მიწებს ყიდდენ და ფულებს ფლანგავენო და უფრო მეტიც, რამაც საერთო მღელვარება გამოიწვია. ის იყო დაყარეს ხმა თითქოს მეპატრონეებმა გადაწყვიტეს, რომ მამული გაყიდონ და ფული ერთმანეთში გაინაწილონო. ბატონი წერეთელი საქმის კურსში არ არის ან იცის, მაგრამ განგებ მალავს სინამდვილეს, რომ ჩვენ უციცებათ ჩაგვთვალოს და სხვისი ცრუობა ამტკიცოს და თვითონ ცრუ ჰარიოლალე იძლეროს, რადგან რაც მე დავწერე, იმის სიმართლის დამადასტურებელი არის ბატონი ლევან ფაღავა, რადგან ბატონ ლევან ზურაბიშვილს სწორედ ბატონ ლევან ფაღავამ წაუკითხა მთავრობის აქტი მამულის ბედზე და მომავალზე. ეს მოხდა ქალბატონ მარო რამიშვილის დასაფლავების შემდეგ, რადგან დასაფლავების დროს შექმნილმა მითქმა-მოთქმამ, აიძულა ბატონი ლევან ზურაბიშვილი მიემართა ბატონ ლევან ფაღავასა და აკაკი რამიშვილისა და ჩემთვის, რომ შეგვეყვანა ის მამულის იურიდიული საფუძვლის სიმტკიცეში. მე წავედი ლევილში მიუხედავად იმისა, რომ არ ვიყავი კარგად. ჩამოვიტანე დოკუმენტის ასლი და ბატონ ლევან ზურაბიშვილი ადგა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა: "მე არ ვიყავი საქმის კურსში ამ დოკუმენტის არსებობის, ამიტომ შექმნილი მდგომარეობის გამო განვიცდიდი ნერვიულობას. მაგრამ დღეიდან დავმშვიდდი და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ქართული სათვისტომო დღეიდან მამულის საქმეში არ ჩაერევა". ბატონმა ლ.ზურაბიშვილმა მისი პატიოსანი სიტყვა პირნათლად შეასრულა და ამიტომ მე დიდ პატივს ვცემ მის ნათელ სხოვნას. ყველაფერი რაც ზემოთ ვთქვი საკმარისი იყო ბატონ წერეთელს ეკითხა ბატონ ლ.ფაღავასთვის და ამდენა სისულელეებს არ დაწერდა.

რაღ გვთვლის ბატონი წერეთელი, რომელსაც თავი ყველაფრის მცოდნედ მოაქვს და არ იცის, რას წერს. თურმე "გ.ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ. უქმად დგას ერთი ლინოტიპის საბეჭდი მანქანაც, მაშინ, როცა თვით სოციალისტებიც მდარე საშუალებით აქვეყნებენ თავის პრესას". იმ ლინოტიპის მანქანამ ოთხი კაცი შეიწირა, რადგან მთელი დღის განმავლობაში ადუღებული ტყვიით მოწამლული ჰაერის ატანა საღმიმეხულმა ორგანიზმმა ვერ შესძლო და დაავადდნენ. ამიტომ საჭირო იყო, რომ ბატონი გ.წერეთელი ცოტა დაკვირვებოდა რას წერდა ან გაზეთში წაეკითხა, რომ რა საფრთხეს უქმნის ადამიანს ის მინიმუმი ტყვიის ემანაცია, რომელიც ბენზინში არის და მილიონები იხარჯება მისი ელიმინაციისათვის, რადგან საწამლავია. მაშ, როგორ უნდა მას ჩვენს პირობებში უვენტილაციოთ და პრიმიტიულ მდგომარეობაში ტყვიით მოწამლულ ოთახში ვინმე იმუშაოს? ბატონი წერეთელი საცკივრებს ეძებს და განკურნებისათვის ტყვიით მოწამლულ ოთახში გვგზავნის! ბატონ პ.სარჯველაძის გარდაცვალების შემდეგ, ბატონ მ.ცაგარელის ანდერძით, ლინოტიპის მანქანა რჩება სათვისტომოს საკუთრებათ და თუ მას არ უნდა დაეპატრონოს, ჩვენ იძულებული ვიქნებით მისი გადაგდებისათვის, ისედაც ჩვენი ღარიბი სალაროდან ორი ან სამი-ათასი ფრანკი გავიღოთ.

ვთქვით, რომ არ ცოდნა არ ცოდვაა, მაგრამ ცუდია, როცა ადამიანი სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს, ხოლო თავის თვალში დირესაც ვერ ხედავს; და ასეთი კურიოზული ამბავი მოდის ბატონ წერეთელს. გაღმა მეელავე, რომ გამოღმა მეგრჩე სისწემით, გაღმაც გვედავება და გამოღმაც. საქმე შემდეგშია: პოეტი გიორგი გამყრელიძე გარდაიცვალა. მისი ანდერძის შემსრულებლებმა ბატონ ექიმ ჩხაიძემ და ბატონ ინასარიძემ განსხვავებულის "ოფსეტი" საბეჭდი და ხელის საბეჭდი მანქანები გამოგზავნეს ქართულ მამულში ბატონ ნ.მარიას ხელით, სათანადო დადგენილებით და მითითებით: მანქანების მუდმივი სამყოფელი არის ქართული მამული და მისი სმარება შეეძლება "ჩვენი დროშას", "ივერიას", "თავისუფლების ტრიბუნას" და "კავკასიონის" რედაქციებს. მაგრამ ერთ დღეს ორივე მანქანა მამულიდან გაქრა, რომელიც აღმოჩნდა ბატონ გ.წერეთლის სახლში. ჩვენ მასთან მივაკვლევენთ ბატონი

პ.ინწკირველი, რომ შეეხსენებია მისთვის მანქანის დანიშნულება. მაგრამ ბატონ
გ.წერეთელმა ის თავისებური ჯინებით გამოისტუმრა და უკან მას მოაყოლა წერილი
და როგორი! თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ თქვენი გაზეთის გულისათვის მე ჩემი
გაზეთის გამოცემას დავაბრკოლებო. მანქანა ჩემთან იქნება, სანამ საბეჭდავად
სხვა რაიმე საშუალებას მოვნახავდე და თუ თქვენ გჭირდებათ მოდით ჩემთან და
იხმარეთ! რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრი ვიმსჯელეთ და ყველა მივედით იმ დასკვ-
ნამდე, რომ ჯინება, ყვირილი და ჩხუბი აგვეშორებია და დროებით თავი დაგვენებე-
ბია ამ საქმისათვის, რის გამოც არც ის "ოფსეტის" მანქანა არ გვაქვს და არც
ის ხელსაწერი მანქანა. ბატონი გ.წერეთელი კი გვასწავლის, რომ ჩვენი პრესა
მდარე ხარისხით იბეჭდება და მიგვითითებს, რომ თურმე შატოში ლინოტიპის მან-
ქანა გაჩერებულია. როგორ მოგწონთ! კარგი აღმოჩენა არ არის? ჩვენ პირადათ დ
დიდ მადლობას მოვახსენებ მას თუ იმ ლინოტიპს თავიდან მოგვაშორებს და "ოფ-
სეტის" მანქანას მოიტანს და დადგამს იქ, სადაც უნდა იყოს!

ბატონ წერეთელს ან მახსოვრობა ღალატობს ან ფიქრობს, რომ ჩვენ გვღალატობს.
როცა კ.სალია გარდაიცვალა და ბატონ გ.მარამიძემ ქართველოლოგიის ჟურნალის
პასუხისმგებლობა აიღო თავზე, ბატონი წერეთელი გვაფრთხილებდა, რომ ბატონ გ.
მარამიძემ შეცვალა კ. სალია... ამის უარის თქმა მას არ შეუძლია, რადგან მან
ასევე გააფრთხილა სხვებიც, როგორც მე. მაშ, რა მოხდა დღეს, რომ ბატონ მარა-
მიძეს თავს უქონავს? პირადათ მე გ.მარამიძეს ვიცნობ 1943 წლიდან, როდესაც
ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო და მასთან რაიმე უსიამოვნობა არასდროს არ მქონია.
დღეს მე ისიც არ ვიცი თუ მენდურის, რატომ მენდურის: მიუხედავათ 1973 წლის,
მისი ყოვლად დაუშვებელი საქციელისა მაშინდელი ადმინისტრაციის მიმართ; მისი
კანდიდატურა მე წამოვაყენე ასოციაციის წევრობის კანდიდატათ მიღებისათვის,
რომ შემდეგ წევრად გავვეყვანა და შემდეგ როცა ყველაფრის საქმის კურსში შევი-
დოდა, ნორმალური, მოხუცებულებს შეგვცვლიდა...ურთიერთ ლაპარაკის დროს ხშ
იმას ვეხვეწებოდი შეესწავლა მამულის მდგომარეობის ყველა დეტალი, რომ როდე-
საც ჩვენ არ ვიქნებით, ჩვენ შეგვცვლიდა და სხვა. მას შემდეგ, რაც შატოში
დასახლდა, ჩვენს ოჯახში მე და ჩემი მეუღლის მიერ იყო მიღებული როგორც ოჯა-
ხის წევრი. არასდროს არ წავლაპარაკებულვართ და არც არასდროს არ ყოფილა შემ-
თხვევა, რომ ბატონ გ.მარამიძეზე ჩვენ რაიმე ეჭვი შეგვეტანოს.

რაც შეეხება ბატონ გ.წერეთლის მითითებას, რომ "ეს მამული შეიძლება
სავსევე გადაეცეს მის კანონიერ პატრონს საქართველოს სახელმწიფოს", სასაცი-
ლოა, რადგან ამის გადაწყვეტა არც ბატონ გ.წერეთლის საქმეა და არც სხვისი,
რადგან ის ჩვენი დიდი ადამიანები მასზე და მის თანამოაზრეებზე ბევრად ჭკუ-
იანები იყვნენ და ამ შემთხვევაშიც სწორედ ეს ძველი გადაწყვეტილება გვირჩევ-
ნია და მას ბატონ გ.წერეთლის შესწორება არ ჭირდება!..

ულოგიკობა და ნამდვილი დანაშაული ის არის ამ ყოვლად ზედმეტ ვაი-კრიტიკა-
ში, რომ თურმე ასოციაციას არ ჰქონებია "შინა განაწესი". ბატონ გ.წერეთელს
ამოდენა დაუფიქრებელი სისულელით უნდა შეიყვანოს შეცდომაში საზოგადოება."ამ-
ას ადასტურებს ჩვენი ქალბატონ ნამეცვიაც: ჩვენ დაწერილი შინა განაწესი არა-
სდროს არ გვქონებიაო"; გვაუწყებს ის და თუ ქალბატონ ნამეცვიამ ეს მართლა უთ-
ხრა ბატონ წერეთელს, ის მას რატომ არ შეეკითხა რას აკეთებდა ქალბატონი ნა-
მო 12 წლის განმავლობაში, როცა ის ასოციაციის გამგეობის თავჯდომარე იყო?
მაგრამ ეს არის მოგონილი, მოჭორილი სიყალბე საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში
შესაყვანად, რადგან პირველი შინა განაწესი მამულში იქნა გამოკრული 1960
წელს ლევან ფალავანდავან, მერე, ოდნავად შესწორებული, 1972 წელში ქალბატონ
ნამეცვია ვოგუადინავან, რომლის ფოტოპირები ინახება არქივში. პირდაპირ დანა-
შაულია, როცა ბატონი გ.წერეთელი და მისი რჩეული თანამოაზრენი ებრძვიან ასო-
ციაციას, მის სტატუსს და შინაგანაწესს. ალბათ, შეუგნებლად, რადგან თუ დღემდე
მთავრობისა და სენატორ მარიუს მუტეს მოსწგანწყობილობის გამო ჯერჯერობით
მამულის არსებობა უზრუნველყოფილია და ვიღაცეებს რაღაცეებისათვის და ვიღაცე-
ებისათვის უნდათ, რომ ძირი გამოუთხარონ ამ ქართული მამულის არსებობას და
ჩააგდონ იმ მდგომარეობაში რა მდგომარეობაშიც არის ჩავარდნილი დღეს ლუარის
სანაპიროების შატოები, რომლებიც გადასახადების ვალებში პარტახდებიან!..
(იხ.გაზ."ფიგარო",5.7.88). და რომ ჩვენს პატარა მამულს არ ჰქონდეს საქველ-
მოქმედო დანიშნულების სტატუსი და რომ მიც მცხოვრები არ იყვნენ "მესიზნუ-
ლების" უფლებით და რომ ისინი სარგებლობდენ მცხოვრებლების უფლებით, მაშინ
ხომ უნდა იქნეს გაცემული საზინათ გადასახადის ეგრეთ წოდებული "ლუაის"ქვი-
თარი. ეს ხომ მამულის კომერციულ სტატუსზე გადასვლას წარმოადგენს, რაც სა-
ხელმწიფო გადასახადს გაზრდის იმ ზომამდე, რომ ჩვენ მისი გადახდა არ შეგვე-
ძლება და მამული დარჩება სახელმწიფოს გადასახადების ვალში. დღეს ჩვენ იმის
გადახდაც გვიჭირს, რასაც ვიხდით, მიუხედავათ იმისა, რომ ქალბატონი ქრისტი-
ანეს მეცადინეობით ორჯერ იქნა დაკლებული სახელმწიფო გადასახადი, ერთხელ
მინისტრ ჟაკ ლორის მიერ 8.000 ფრანკი და მეორეჯერ დეპუტატ ბერნარ პონსის
მიერ 5.000 ფრანკი. გასაოცარი ის არის, რომ,როგორც ბატონი წერეთელი გვიმ-
ტკიცებს, თუ ასოციაციას არასდროს არ ქონებია დაწერილი შინაგანაწესი, ე.ი.

26 წლის განმავლობაში ასოციაცია ყოფილა შინა განაწესის გარეშე და თუ ეს ასეა რას უცდიდა ბატონი გ.წერეთელი, რომ ჩემს თავჯდომარედ არჩევამდე არაფერი არ თქვა და ითმენდა ასოციაციას, რომელსაც შინაგანაწესი არ ჰქონდა? თუ მას ჩაუდევს თავში, რომ ასოციაციას შინაგანაწესი არასდროს არ ჰქონდა - ეს ჩემი ბრალი არ არის, და ჩემი მადლობელი უნდა იყოს, რომ ასოციაციის შინაგანაწესი შესწორებული და დამტკიცებული არის-გამოკრული თავის ადგილზე.

გაუგებარი და ყოვლად სიმართლეს მოკლებულია ბატონ გ.წერეთლის ქართული ეროვნული საბჭოს წინააღმდეგ გალაშქრება, და ვფიქრობ, რომ შეიძლება მას მახსოვრობა ღალატობს, რადგან ეროვნული საბჭოს განახლების იდეა მოდის თვით ბატონ გ.წერეთლიდან, ბატონ კ.ინასარიძისაგან და ჩემგან, როდესაც მე საავადმყოფოში ვიყავი და ჩემს სანახავად მოვიდნენ ბატონი წერეთელი და ბატონი ინასარიძე, სადაც წამოიჭრა საკითხი ეროვნული საბჭოს მდგომარეობის და მისი განახლების შესახებ. ომის ტაწერის გარეშე, ჩვენ ერთსულოვნად შევთანხმდით ყველაფერში. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა და გადავწყვიტეთ, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით გაგვენახლებია ეროვნული საბჭო. გამოგვეშვა გაზეთი და შემდგომში "პარიზის ბლოკის" ფეხზედ წამოყენებას, რადგან, დადგენილებით მათი უცვლელი თავჯდომარე დაარსებიდან იყო ქართველები;და ნოე ცინცაძის შემდეგ უთავჯდომარეო ბლოკი დაიშალა. ერთად ერთი რაც ვერ გადავწყვიტეთ ეს იყო, რომ მას სასურველად მიაჩნდა რამენაირად თავიდან აგვეცილებია სიტყვა"საბჭო". შევთანხმდით, რომ დაჩქარებით მოგვეწვია ეროვნული საბჭოს განახლების საინიციატივო კომისია, რომელშიც უნდა შესულიყვნენ ბატონი გ.წერეთელი,როგორც ძველი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, ბატონი ნ.ურუშაძე, როგორც სოც.ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი უცხოეთში და ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, ბატონი ვალიკო ჩუბინიძე, როგორც ბიუროს თავჯდომარე, ბატონი ე.ფალავა როგორც აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ინასარიძე, როგორც ძველი აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატი და მე, როგორც ბიუროს მდივანი. ამ კომისიის სხდომა შედგა კალიქსის ქუჩაზე, სადაც ბატონმა ნ.ურუშაძემ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლად გამოგზავნა ბატონი ნიკოლოზ ახაძე. კრება ჩატარდა ურთიერთგაგებისა და თანხმობის პირობებში, სადაც სხდომის გათავების წინ ბატონმა გ.წერეთელმა წარმოსთქვა ისეთი გულუხვი სიტყვა, რომ გული ყველას იმედებით აევსო და მომავალი ეროვნული საბჭოს ყრილობის ბრწყინვალე შედეგების საეჭვო არაფერი არ დაგვრჩა,რადგან მან აღთქმა მოგვცა -"არ იფიქროთ, რომ ეროვნულ საბჭოში მე მარტო მოვალ,არამედ ის მოიყვანს, მასთან ერთად ჩვენს ახალგაზრდებს, რომლებიც ამდენი ხანია ელოდებიან იმ დღეს, რომ ეროვნულ საქმიანობაში ჩაებან". ჩვენ, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული დავრჩით, მაგრამ არა დიდხანს.კომისიის მეორე კრების მოწვევის საპასუხოთ მივიღეთ ისეთი წერილი, რომ ჩვენ თვითონ შეგვცხვა ჩვენი თავის, რადგან ამდენი იმედების დამყარებისათვის ვერ გაგვეგო თუ ვისთან გვქონდა საქმე. ბატონი გ.წერეთელი გვაუწყებდა, რომ ის უარს ამბობს ჩვენთან თანამშრომლობაზე იმიტომ, რომ ჩვენ არ ჩავებით მისი ინიციატივით დაარსებული, ორი თუ სამი წლით ადრე, საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფ ტუსაღთა და მათი ოჯახების დამხმარე კომიტეტში. ამ გაუმართლებელი არგუმენტის წაკითხვამ, ჩვენში სინანული გამოიწვია. მაგრამ როცა შემდეგ გავიგეთ, რომ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ის "მისათ" თვლიდა არც ერთი არ გაყვა მას, იმდენი დაპირების შემდეგ ის გამოსავალი ნახა, რომ თითქოს ჩვენ უარი უთხარით მის დამხმარე საზოგადოებაში მონაწილეობაზედ, რაც სინამდვილე არ არის, რადგან ჩვენ უარი კი არ გვითქვამს, არამედ ჩვენს თანამოაზრეებს ურჩიეთ, რომ ასეთი ორგანიზაციის დაარსების წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ისინი თავისუფალი არიან იმოქმედონ თავიანთი პირადი გადაწყვეტილების მიხედვით.

განა ამის შემდეგ ყურადღების ღირსია მისი უთავბოლო კრიტიკაში გამოთქმული კრიტიკა? ყველა ზემოდ ნათქვამის შემდეგ უმჯობესი იყო ბატონი გ.წერეთელი დაფიქრებულიყო და ეროვნული საბჭოს უფლებრივ და მორალურ მხარეებზედ უსამართლო კრიტიკაზე ხელი აელო. რაც ბატონ წერეთელს ნ.ცინცაძის რუსოფილობაზე უკამათია და მის აუტანელ ხასიათზე ულაპარაკია - ამას ხომ ბოლო არ აქვს; და გასაკვირია, რომ ახლა ნ.ცინცაძეს სრულ რეაბილიტაციას უკეთებს და ნ.ცინცაძეს მთავრობის ფუნქციებიც კი ჩააბარა!.. ცნობილია, რომ ის ვერც ბატონ სომერიკს ვერ იტანდა. ხშირად მას მოუტანა ბატონ სარჯველაძეს ცნობა, რომ ბატონმა სომერიკმა სათვისტომოს გამგეობის კრებაზედ საჯაროდ განაცხადა, რომ ის სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი არ არის და სათვისტომოს გამგეობაში სოციალდემოკრატიული პარტიის ბიუროს წარმომადგენლად არ ვითვლებით; და ბატონი წერეთელი გაკვირვებას გამოთქვამდა, რომ ჩვენ ბატონ სომერიკს მხარს ვუჭერდით. ბატონი გ.წერეთელი ნამდვილი მეტამორფოზა არის, რადგან დღეს ის ნ.ცინცაძეს მთავრობის მემკვიდრედ გვაძლევს და ბატონ სომერიკს ცინცაძის მემკვიდრედ.

ბატონ გ.წერეთელს,როგორც ჩანს, წარმოდგენა არა აქვს თუ რა არის სახელმწიფო ბეჭედი, რომელსაც საკუთრად "დასტურს" უწოდებენ. საქართველო იყო დემო-

კრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ჰქონდა თავისი სახელმწიფო დროშა, კონსტიტუცია, ეროვნული ჰიმნი, სახელმწიფო გერბი და სახელმწიფო ბეჭედი-ცენტრში სახელმწიფო გერბით. დედამიწის ზურგზე არც ერთ ქვეყანაში, ჩვენს საუკუნეში, სახელმწიფო ბეჭდის გერბათ არავის სახელი და გვარი არ გამოუყენებია; და როგორ მოხდა, რომ ნოე ჟორდანია სახელმწიფო ბეჭდის გერბათ თავისი ცივრი აიხადა? რატომ აყენებს ასეთ შეურაცყოფას ნ.ჟორდანიას ან რა სარგებლობას ნახულობს ბატონი წერეთელი ისტორიის გაყალბებაში? მას მინდა გავახსენო, რომ 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს სახელმწიფო ბეჭედი იყო ყოველთვის ქართულ ენაზე ; ხოლო სახელმწიფო კონკურსის შემდეგ, როცა დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო გერბი, მის შემდეგ ბეჭდის ცენტრში იყო სახელმწიფო გერბი. რამ აიძულა ბატონი წერეთელი არაპირდაპირ, მაგრამ ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ბატონ ვალავას მიერ გამოქვეყნებული ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის სახელმწიფო ბეჭედი იყოს? განა ამით ის შეურაცყოფას არ აყენებს ნ.ჟორდანიას ხსოვნას, რომელსაც სახელმწიფო ბეჭედი ფრანგულად ქონია და გერბათ თავის სახელი და გვარი? განა ბატონი ვალავა ამტკიცებს სადმე, რომ მან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ბეჭდის ფოტო-კოპიო გამოაქვეყნა? საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური ბეჭედი, რომელიც 1952 წლის სექტემბრის ბოლოს ჩემი თვალით ვნახე, როცა ის ნოე ჟორდანიამ წითელი მაუდის საჭერში გამოხვეული ამოიღო თავის ბიუროს უჯრიდან და ჩემს წინ ოფიციალურ დოკუმენტზე დაარტყა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მის სხვა ნივთებთან ერთად, მისი ჩამომავლობის მიერ, სათუთად არის შენახული, რადგან იმ ბეჭედს საქართველოს ისტორიისათვის განუსაზღვრელი ფასი აქვს, როგორც პირველი სახელმწიფო ბეჭედი თავისუფალი საქართველოს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ის დაკარგული იყოს.

ბატონ წერეთელს წონასწორობა დაუკარგავს, როცა წაუკითხავს გაზ."ჩვენი დროშაში" ბატონ ქუთაისელის სტატია, რომელშიც წერია:"ვინც ნოე ჟორდანიას კიცხავს და ამაგებს, ის ამავე დროს ქართველ ერს კიცხავს და ამაგებსო". ეს წინადადება შეიძლება კაცმა გაიგოს ბევრნაირად: ქუთაისელს, მაგალითად, შეეძლო დაეწერა იმ თვალსაზრისით, რომ ნ.ჟორდანია, როგორც ქართველი ხალხის 85 პროცენტის მიერ არჩეული, მისი გამკიცხავი ქართველ ხალხს კიცხავს და ამაგებსო. სხვას შეეძლო ეთქვა, რომ ვინ ნ.ჟორდანიას, როგორც საქართველოს 117 წლის დაპყრობის შემდეგ დამოუკიდებლობის გამომცხადებელს კიცხავს და ამაგებს, ის კიცხავს და ამაგებს საქართველოს, პატარა ოქროს ხანასო. ან ზოგიერთს შეეძლო გაეგო ეს ფრაზა გადაჭარბებულად ან უადგილოდ. მაგრამ სად დაინახა ამ ამონაწერში ბატონმა წერეთელმა "დემაგოგიის მაგალითი"? რა შუაშია აქ სტალინი, ჰიტლერი ან აიატოლა? იმას ხომ არ ფიქრობს, რომ ვინც ნ.ჟორდანიას გამოექომაგება უსამართლო კრიტიკისათვის ისინი სტალინელები, ჰიტლერელები თუ აიატოლას ნაირი ხალხია? ახლა ნ.ჟორდანიას იდეებით აღფრთოვანება ადამიანს სტალინის, ჰიტლერის ან აიატოლას იდეების ადგილზე სვამს? ნახეთ რა აღმოუჩენია ბატონ წერეთელს; თურმე "ნ.ჟორდანია იყო და სიკვდილამდე დარჩა პარტიულ კაცად". "ის წერდა და ლაპარაკობდა პარტიის სახელით". აი, აქ ჩანს სწორედ დიდი კაცობა, რადგან ის იქაც და აქაც თავის იდეების გზაზე იდგა და ზოგიერთი ჩვენი"დიდი კაცების" მსგავსად აქაც და იქაც, ხან სოციალდემოკრატი, ხან ფედერალისტი, ხან ნაციონალ-დემოკრატი, ხან თეთრი გიორგელი და ხან ფაშისტი არ იყო!.. და თავის ფერს ზოგიერთებივით ქამელეონის მსგავსად არ იცვლიდა. ნოე ჟორდანიას იდეას ისტორია შეაფასებს; არც ბატონი გ.წერეთელი და არც ჩვენ მისი იდეების მემკვიდრეობის საზომად არ გამოვდგებით. რატომ დაჭირდა ბატონ წერეთელს, რომ გვიხსნის და გვირჩევს შევიგნოთ, რომ ნოე ჟორდანია იყო დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების მეთაური და არა თვითმპყრობელი მონარქი. ვინ ედავება ამაში მას? ალბათ იმიტომ, რომ გაახალოს ყოვლად ულოგიკობა, რომ "ხალხის მიერ ბოძებული ნიჭი, ხალხსავე შეუძლია უკან"წაიღოსო; და მერე სხვაზე "გააზომოსო". ნუ თუ არ იცის ბატონმა წერეთელმა, რომ ნიჭის დარიგება-გაზომვა არ შეიძლება? ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ბუნებრივად იბადება და ნ.ჟორდანიაც დაიბადა სწორედ ამ ნიჭით დაჯილდოებული. მას ნიჭი ხალხმა კი არ მისცა, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელობა ჩააბარა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელობა ხალხს კი არ წაულია, უკან, არამედ უცხო ძალის მიერ იქნა წართმეული; კარგი იყო, რომ ნიჭის გამოძება შეიძლებოდეს; მაშინ ზოგიერთები ნიჭის სიღატაკეში არ აღმოჩნდებოდნენ!..

ქართული არქივის საქმეში კარგი იყო, რომ ბატონ წერეთელს პოზიცია არ აეღო, რადგან ის ამ საქმის კურსში არ იყო და გაგონილი, ყურმოკრული ჭორებზე აგებული ულოგიკო და ყოვლად მიუღებელი დასკვნების გამოტანას, თავიდან აიცილებდა; და თუ მისთვის პოზიციის აღება აუცილებელი იყო, ის უნდა დამდგარიყო იმ ადამიანების გვერდში, რომლებსაც ამ საქმისათვის თავიდან უზრუნიათ, უმუშავიათ და რაც მათ ძალღონეს შეეძლო არაფერი არ დაუშურავთ, რომ ეს ფრიად დიდი ეროვნული საქმე ბოლომდე ისე შეურცხვენლად მიეყვანათ. შექმნილი მდგომარეობის გამო, იმ არქივის უცხოეთში დატოვება იყო აუცილებელი. აუცილებელი

დადგება დრო, როცა მადლიერი ქართველი ერი მოწიწებით მოიხსენებს იმ ბრწყინვალე თაობას, ვინც იმ უკატასტროფულ მომენტში გადაწყვიტა, რომ ქართველი ხალხის ბრწყინვალე პერიოდის ისტორიული საუნჯე გადარჩენის მიზნით საზღვარგარეთ გახიზნა.

ბატონი წერეთელი დროს კარგავს, როცა ის რაღაცეებს გვასწავლის და მანაც არ იცის რას. აი მაგალითი: თურმე წინ გაცემულ მანდატს, შემდეგში გაცემული მანდატი ცვლის. ამ დებულების სწავლებისათვის მას შეიძლება უთხრათ მხოლოდ "ბარაქალა მაგ უცოდინარობას", რადგან ზ.ჩიჩუას გარდაცვალების შემდეგ, როცა, მთავრობა თითქმის სრული შემადგენლობით თავის ადგილზე იდგა, ქართული არქივის პატრონობა ნ.ჟორდანიას რეკომენდაციით, მთავრობის დადგენილებით ჩაბარდა ბატონ გ.ერაძეს, რომელსაც საქ.დამ.რესპუბლიკის მთავრობაში ორი დიდათ საპასუხისმგებლო სამინისტრო ებარა. რაც შეეხება ნ.ცინცაძეს, მასთან მთავრობა იმ დროს კონფლიქტში იყო და მან მისი ხასიათითა და ინიციატივით ყოვლად დაუშვებელი ბროშურის გამოქვეყნების გამო არავინ არ იკარებდა და არც არავინ არაფერს არ კითხავდა. იმ დროსაც კი, როცა წყალდიდობის გამო არქივი განსაცდელში იყო ჩავარდნილი, ნ.ცინცაძე განზე იდგა და მუხლებამდე წყალში კ.კანდელაკი და აკ-ჩხენკელი იდგნენ. ხარჯები კი ვ.ჩუბინიძის ჯიბით და სათვისტომოში შეგროვილი ფულით იფარებოდა. ნ.ცინცაძე, მიუხედავათ მისი ეკონომიკური შეძლებულობისა, განზე იდგა და ამ საქმისათვის ერთი სანტიმიც კი არ გაუღია. ნ.ცინცაძე მთავრობას დაუახლოვდა მხოლოდ ნიკოლაევსკის და დონ ლევინის საშუალებით ქართული ეროვნული საბჭოს დაარსების გამო. საქართველოს ყოფილ მინისტრთა კოლეგიაში ის იქნა შეყვანილი მხოლოდ ბატონ რ.არსენიძის და გ.ერაძის მოწვევით, კოოპტაციის წესით, მიუხედავათ იმისა, რომ ის ეროვნულ საბჭოს თავჯდომარეც იყო. ეს მოხდა იმის გამო, რომ ბუნებრივი კანონის გამო დიდი კაცებით "გავღარიბდით".

საარქივო კომისიაში ის იქნა შეყვანილი მოგვიანებით და არასდროს მისი თავჯდომარე არ ყოფილა და არც რაიმე პრივილეგიური ადგილი არ ჰქონია; და სხვათა შორის, მან ერთხელ საარქივო კომისიის დოკუმენტების მითვისებაც კი მოინდომა, როცა გ.ერაძე მძიმე ავადმყოფი ლოგინში იწვა, თითქოს მის სანახავად მოვიდა და რა დაინახა დოკუმენტები მაგიდაზე იდო, მოკიდა ხელი და წაიღო სახლში. იძულებული გავხდით ბატონ ალ.კინწურაშვილი ჩამოგვეყვანა და მისი საშუალებით ჩამოგვერთმია დოკუმენტები, რის გამოც ისინი სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს; და გ.ერაძემ ლევან ფაღავას და მე დაგვიტოვა ანდერძათ, "ნოე ცინცაძე არასდროს არქივის საქმეში არ გაგვერია, თორემ მისი ძვლები საფლავში გადაბრუნდებაო". ყველაფერ ამას, თუ ვინმეს დაჭირდა, დაადასტურებს ბატონი ლევან ფაღავა. ამის შემდეგ რატომ ფიქრობს ბატონი წერეთელი, რომ ნ.ცინცაძის მიერ გაცემული მანდატი უფრო უფლება მოსილია, ვიდრე მთავრობის კომისიის მიერ ერთხმად დემოკრატიული სისტემით არჩეული წევრის იურიდიული უფლება? რატომ არ იცის ბატონმა წერეთელმა, რომ ერის ქონების მოვლის პასუხისმგებელი მხოლოდ მთავრობის მიერ არჩეული არქივის კომისიაა და არა მისი მთამომავლობით გაცემა არავითარ კანონს არ ექვემდებარება?

ბატონ წერეთლის სასაცილო ვექილობით "როგორც უკანასკნელი დოკუმენტი, ის აუქმებს ყველა სხვა მის წინათ დოკუმენტებსო", იმ დოკუმენტის, რომელიც ჭკუაზე მყოფ ადამიანის დაწერილს არ ჰგავს, რადგან ეროვნულ ქონებაზე "სანამ ცოცხალი ვარ მე ვარ თავჯდომარე და როდესაც მე მოვკვდები, მაშინ ვტოვებ ჩემს ადგილზე ამა და ამ პირსო", სასაცილოა და მეტი არაფერი. განა ბატონ გ.წერეთელს ეროვნული ქონება სამაწვნე ჰგონია, რომ მთამომავლობით მამა-შვილს ანდერძით გადასცეს? რატომ მოსპო ბატონმა წერეთელმა ლ.ფაღავა, ვ.ჩუბინიძე, გ.ლომაძე, კ.ინასარიძე და მ.ბერიშვილი? რამ აიძულა ის, რომ ვიღაცის ვექილად გამოდის? რატომ არ იფიქრა მან, რომ მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის გაუქმების უფლება ერთ პირს არ აქვს და თუ ეს მან გააკეთა, მისი საქციელი უზურპატორულია და მის მიერ პიროვნულად გაცემული მემკვიდრეობის მანდატი უფლებამოვალეობა ჩალის ფასად არ ღირს. ამიტომ ბატონ წერეთელს იმის მაგივრად, რომ მეორე მანდატი აუქმებს პირველსო, ჯობდა გაეგო ჰქონდა თუ არა უფლება საარქივო კომისიის ერთერთ წევრს გაეუქმებინა მთავრობის კომისია და პიროვნულად საარქივო კომისიაში არქივისათვის სრულიად უცნობი ახალი პირი შეეყვანა და მისთვის მიეცა უზენაესი უფლებები. საქმე ის იყო, რომ ბატონი ლევან ფაღავა და ბატონი ნ.ცინცაძე ერთიმეორეს ვერ ეგუებოდნენ; კარლო ინასარიძე მუშაობდა; მეც ვმუშაობდი და ვ.ხარჯვლაძე ავადმყოფობდა. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვეყვანა პარალელურად მთავრობის კომისიის ზედამხედველობის ქვეშ, არქივის თვალყურის მდევნებელი კომიტეტ-ამერიკაში მცხოვრებ ქართველების მასში შეყვანით, რომლებიც ადგილობრივ თვალყურს ადევნებდნენ არქივს და ექნებოდათ საქმიანი ერთიერთობა მთავრობის კომისიასთან. დღეს კი გამოდის, რომ არქივის თვალყურის მდევნელმა კომიტეტმა გადააყენა მთავრობის არქივის შემნახველი კომისია და თავი იმპერატორულად არქივის ბედის გადამწყვეტად გამოაცხადა. როგორც ჩანს, ბატონ წერეთელს ძალიან მოწონებია როცა წაუკითხავს, რომ სანამ ცოცხალი ვარ მე ვარ და როცა მოვკვდები ესა და ესო; და ასეთ ქაღალდის ნაგლეჯს ის დოკუმენტს

უწილებს; და ამის შემდეგ ის დემოკრატიაზე და უფლება-მოვალეობაზე ლექციებსაც კი გვიკითხავს!.. ჩემთვის ის კი არ არის საინტერესო თავჯდომარე და მდივანი ვინ არის, არამედ ვინ იძლევა დაპირებებს, რომ ჩამოდით და არქივის მიკროფილმები, რომლებიც ჩვენ უნდა მეგვენახა ნანტერის უნივერსიტეტში, იქნა გამოფენილი, რაც "იმნაირებს" ზედეთ ითვლება,-იმ პირობით, რომ თურმე ყველას თქვს უფლება ფოტოკოპიების გადაღების. ამის შემდეგ,ცხადია,რომ გაუპატიურებულ არქივში არავინ მოგვცემს იმ გარანტიებს, რაც მთავრობამ დაავალა შემნახველ კომისიას განსახორციელებლად. ბატონ წერეთელს თუ ასე სტკივა გული არქივზე, იმას კი არ უნდა თხზავდეს, რომ მთავრობამ ბატონი გიორგი ერაძე "სკლადის" გამგედ დანიშნა და მ.ბერიშვილი საარქივო კომისიამ მის შემცვლელად, არამედ ჟენევაში უნდა აეცხა, რომ თავიდან აეცილებინა ის კატასტროფა, რაც გაზეთ "კომუნისტის" 20 ივლისის ნომერმა გვაუწყა.

იქ, სადაც ბატონი წერეთელი "პოლიტიკური აღრევის ნიმუშს" ეძახის, მისი კრიტიკა არამც თუ პოლიტიკური აღრევის ნიმუშია, უფრო მეტიც: ის ნამდვილი გულის ამრევი ეპისტოლეა, რადგან,ჯერ ერთი, ბატონ წერეთელს არ ცოდნია რა არის "ღია წერილი" და ამბობს "ამ სამარცხვინო ღია წერილის ასლები დაუგზავნიათო". და ამის შემდეგ ღირს, რომ ამ ყოვლად დაბნეულ კრიტიკას ვინმემ ყურადღება მიაქციოს? შესაძლებელია, რომ შორს არ არის ის დრო, ქართველი ხალხი გორბაჩოვს ან მის შემცვლელს ამ ნიადაგზე არა ღია წერილი, არამედ ოფიციალური წერილი გაუგზავნოს და ბატონმა წერეთელმა ის ხან "პეტიციად" და ხან"წერილის შინაარსი ხომ მთლად დამღუპველად" ნათლოს.

ბატონ გ.წერეთლის მამულში შემოსვლისათვის ყველა კეთილად განწყობილი ვიყავით. იმედი გვქონდა, რომ ის ყველაფერში დაგვეხმარებოდა და ყველაფერს გაგვიკეთებდა. ამიტომ მამულის გამგეობამ ყველაფერი ქნა, რომ მისთვის მამულში შემოსახლება გაეადვილებინა, რადგან ვფიქრობდით, რომ ახალი ოჯახის შემოსახლებით, მამულში ახალი სისხლი შემოვიდოდა და განსაკუთრებით ქალბატონ ეთერის ქართული საქმის გამო, შეიქმნებოდა ერთმანეთის ნდობისა და მეგობრობის ატმოსფერო. ჩვენი სალარო ღარიბია და ცოტა თანხას ყველას ვთხოვთ შემოწირულების სახით, ხარჯების შემსუბუქების მიზნით. ბატონ წერეთლისაგან ესეც კი არ მოგვითხოვია, რადგან ვფიქრობდით რომ მისი მოქმედებით და გულის დადებით, მორალური და ფიზიკური დახმარებით ყველაფერი იქნებოდა ანაზღაურებული. მაგრამ რა? რაც ის მამულში შემოსახლდა დღემდის ჩხუბის,ყვირილის და კრიტიკის მეტი არაფერი არ ვიცით. ბატონ გ.წერეთელს მამულში არაფერი არ მოსწონს: თვით მამულიც, რადგან მიც"ცხოვრება არ დუღს". არც სოსიეტე, არც ასოციაცია, არც ადმინისტრაცია, არც სტატუსი და არც შინაგანაწესი. უფრო მეტიც: მან მე გამომიცხადა, რომ მე ქართული არც ლაპარაკი, არც წერა და არც კითხვა არ ვიცი. ამიტომ დავინახე რა რომ წონასწორობა დაკარგული ჰქონდა, პასუხიც არ გამიცია. საერთოდ, ჩემი ცოდნა-უცოდინარობით არავინ არ შემიწუხებია, მაგრამ მე მინდა მას უთხრა, რომ მე ჩემი საყოფი ყველაფერი მესმის და ვიცი. ვარწმუნებ მას, რომ ფაკულტეტებზე, სადაც მე ვსწავლობდი, იქ დედის გინებას არ ასწავლიდნენ.

თავის ნაცოდვილარ კრიტიკაში მან ქართული მამულის მდგომარეობა კატასტროფიულად აქვს აღწერილი და აღშფოთებულია, რომ "მცხოვრებლები ითვლებიან სიზნებად", და იძლევა სასაცილო შეკითხვას:"როგორ და რანაირად მოხდა ქართველი კაცი თავის მამულში სიზნად ითვლებაო". მან იფიქროს, როგორც უნდა, მე ვიცი, რომ ერის საკუთრება პიროვნების საკუთრებას არ წარმოადგენს. მე მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, რომ რამდენადაც შესაძლებელია მას მოუარო და თუ ამისათვის საჭიროა თუ გინდ"ვაგაბონი" დამათქვან. რატომ ღელავს ბატონი წერეთელი მამულში შემოღებული "სიზანის" ტიტრის წინააღმდეგ გაუგებარია. ჩვენ ღირ ადამიანებმა,რომლებიც მამულში ცხოვრობენ, ეს ტერმინი საქმის სიყვარულისათვის არა თუ დააკანონეს, არამედ სახელმძღვანელოდ გაიხადეს.

წინა წერილში გამპარვია ერთი შეცდომა. დაუკვირვებლობის გამო დამიწერია "ბატონ-პატრონი". ფაქტიურად კი უნდა ეწეროს: დღეს ლევილის ქართულ კერას მართავს ორი ორგანო: I. ე.წ-ლი მეპატრონეთა სოსიეტე, და II. ქართული კერის ასოციაცია, რომლის მმართველი ორგანოა ასოციაციის ადმინისტრაცია. ორივე ორგანო დაარსებულია მთავრობის ინიციატივით და დადგენილებით. პირველი,ე.ი.სოსიეტე მამულის ყიდვისას, მეორე - 1958-1960 წლებში. მისი მრჩეველი და ორგანიზატორი იყო ქართველი ერის დიდი მეგობარი სენატორი და მინისტრი ბატონი მარიუს მუტე, რომელიც-ახაზუსებდა რა მემკვიდრეების მომრავლებას ჩამომავლობის გზით და მათი სხვადასხვა შეხედულებას ეროვნული საქმის მიმართ, - შესაძლებლად თვლიდა მამულის შენარჩუნების საკითხის დაღუპვას იმ წმინდა მიზნისათვის, რისთვისაც ის იქნა შეძენილი. ამიტომ ის ურჩევდა მთავრობას:1.პარალელურად კერის სოსიეტესა, უნდა შეიქმნას კერის ასოციაცია. 2.ასოციაციამ მამული უნდა აიღოს"იჯარით" წლიურად სიმბოლიური ერთი ფრანკის გადახდით.3.მამულის მართვე-

ლობა ადმინისტრაციულად და ფიზიკურად სრულიად გადადის ასოციაციის ხელში.
4.სოსიეტე რჩება გარანტიად,როგორც"მეპატრონე" ფრანგულ ადმინისტრაციის წინაშე და ან თუ ვინმე "გარედან" შემოგვედავა. 5.ვინაიდან მამულის მოვლა-პატრონობა ფიზიკურად, ეკონომიურად და ადმინისტრაციულად მთლიანად გადადის ასოციაციის ხელში, ასოციაცია უნდა იქნეს გაფორმებული როგორც "საქველმოქმედო ურთიერთ დამხმარე საზოგადოება". 6.ასოციაციის წევრები უნდა იქნენ თავიდან შერჩეული იმ პირებით, რომლებსაც ესმით საქმის სირთულე და გამსჭვალულნი არიან ეროვნული გრძნობით. 7.ასოციაციის წევრები უნდა იქნეს განსაზღვრული მინიმუმის რაოდენობით, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიკერძოება,დაჯგუფება და გაყოფა. 8.იგივე არის სასურველი ასოციაციის ადმინისტრაციისათვის-მცირე რაოდენობით და შერჩეული პირებით, რომლებიც ერთმანეთს გაუგებენ. 9.ასოციაციის დაარსების დღიდან ყურანის როლი და ფუნქცია იცვლება და ის განისაზღვრება"სკრუტატორის" მოვალეობით, რომელიც უნდა იქნეს არჩეული სოსიეტეს წევრების ~~ხმობით~~ ხმობით, აუცილებლად ერთხმად. 10.დაუშვებელია, რომ "სკრუტატორად" არჩეული იქნეს სოსიეტეს ან ადმინისტრაციის წევრი;ან "სკრუტატორი" იყოს რომელიმე სოსიეტეტის მანდატერი, რადგან აუცილებელია ის იყოს ნეიტრალური პირი. 11."სკრუტატორის"მოვალეობაა მამულის იურიდიული უფლებების დაცვა და ამ მხრივ სოსიეტეს დადგენილების სისრულეში მოყვანა. 12.ასოციაციის ბინაში მცხოვრები გამოდიან მეხიზნეები და არა ვით მობინადრეები,რაც მამულს დაიცავს დიდი გადასახადებისაგან და შემდეგ კონტროლისაგან, 13.მეხიზნეები არ იხდიან ბინის ქირას, არამედ სახელმწიფო გადასახადების ხარჯების დასაფარავად შემოაქვთ სპეციალურ ყოველწლიური გამოსაღები. 14.ასოციაციის წევრისათვის საჭიროა ქონდეს საწევრო ბილეთი და იხდიდეს თუ გინდ მცირე რაოდენობით საწევრო გადასახადს. 15.ასოციაციის შინაგანაწესი,დისციპლინის დამყარების მიზნით,უნდა იქნას მკაცრი,რადგან ასოციაციას საქმე ექნება სხვადასხვა განათლების, შეგნების და ხასიათის მეხიზნეებთან.(ასოციაციის შინაგანაწესის ტექსტის პროექტს გიგზავნით აქვე).
16.იგივე ითქმის ასოციაციის სტატუსზეც, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს როგორც ადმინისტრაციის წევრების, ისე მეხიზნეებისათვის.

აი ყველაფერი ის, რასაც ეყრდნობოდა და ეხლაც ეყრდნობა ქართული კერის ასოციაცია, რაც ბატონ წერეთელს არ მოსწონს, და რას არ აკეთებს მის საწინააღმდეგოთ!.. ხოლოც ბატონ შ.მუსეს რჩევას გადავუხვიეთ ყოველთვის დავმარცხდით, რადგან დაარსების დროს ასოციაციის წევრი გვყავდა 7 კაცი. შემდეგ გავხადეთ ცხრა; შემდეგ თერთმეტი; შემდეგ თოთხმეტი; მერმეთ ჩვიდმეტი და ასე ავედით ოცდაცხრა კაცამდე, რამაც საქმის გაკეთების მაგივრად შემოიტანა დეზორგანიზაცია, მიუხედავათ იმისა, რომ ასოციაციის წევრების შევსება ხდებოდა წინასწარ შერჩეული კანდიდატებით, რომლებიც ხშირად წევრად გახდომამდე კარნახი დაიწყეს.

ბატონი წერეთელი გვაუწყებს, რომ "ალბათ არც ეს კრიტიკა იქნება შეცდომებისაგან დაზღვეული და ვინც მათზე მიგვითითებს, დიდი მადლობელი ვიქნებით". აქ კი შემიძლია ამჯერად ვთქვა, თუ ამას შეიძლება კრიტიკა უწოდოთ ისე სავსეა არათუ შეცდომებით და ფაქტების დამახინჯებით, არამედ თავიდან ბოლომდე გაუგებარია, რადგან ხოლოც ერთ ადგილზე ვინმეს აგინებს, მეორეს თავისი აზრის გასამართლებლად ასახელებს და როცა მეორეს ლანძღავს პირველს იმეორებს და ცხვირს სოცავს, რომ რასაც მეორეზე წერს ის გაამართლოს. ბატონი წერეთელი არავის არ დაუნიშნავს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის და მისი ბიუროს შინაური მდგომარეობის კონტროლიორად, ან მისი ხაზის მიმცემად. მას არავინ არ ეკითხება არც გაზეთ "ჩვენი დროშის" კრიტიკას და მით უმეტეს ეროვნული საბჭოს და გაზეთ "მებრძოლი საქართველოს" იურიდიულ ექსპერტობას. რაც მან ეროვნულ საბჭოს განახლების დროს მოიმოქმედა ის საპატიო სტუმრადაც არ უნდა ყოფილიყო მოწვეული. რაც შეეხება ბატონ წერეთლის ნაცოდვილარს ნ.ჟორდანიას ჩემზე მოცემული რწმუნების შესახებ, რა თქმა უნდა, მე მას პასუხს არ ვაძლევ, რადგან ის ნ.ჟორდანიას მოქმედებისა და ჩემი უფლებამოვალეობის კონტროლიორად არავის დაუნიშნავს. მას არავინ ეკითხება თუ მე რა ფუნქციებს ვასრულებდი ან რა პასუხისმგებლობა მქონდა ან მაქვს. მისი საქმე არც ის არის ვინ არის ჩემი უფროსი ან მე ვისი უფროსი ვარ. საჭიროა, რომ ყველამ თავისთავს მოუაროს და სხვის ბოსტანში თავის შეყოფას თავი დაანებოს.

ყველაფერის ზემოთქმულის შემდეგ, მინდა რამდენიმე სიტყვით აღვნიშნო, რომ ბატონ წერეთლის კრიტიკა ნაცკივარმა გამოიწვია სათვისტომოს თავჯდომარის ბატონ პაპარიძის ოფიციალური წერილის მიმართვა გაზეთ"მებრძოლ საქართველოსადმი". ბატონი ოთარ პაპარიძე პატიოსანი, დინჯი, აუჩქარებელი და დაკვირვებული ადამიანია. საინტერესოა, რომ როგორ, რატომ ან რისთვის ჩაერია ისეთ საქმეში, რაც სათვისტომოს არც ფუნქციას და არც მოვალეობას არ შეადგენს? ვფიქრობ,რომ მასზე ვიღაცამ "დაწოლა" მოხდა; ამიტომ სრულებით არ ვფიქრობ, რომ მას რაიმე კრიტიკა გავუკეთო. მაგრამ სიმართლის აღდგენისათვის მაინც მინდა ვთქვა შემდეგი;და აი რატომ: 1.საბუთის სული ნამდვილად ნ.ჟორდანიასეულია,რადგან

ყველა ამ ტიპის დოკუმენტები მის მიერ ამ სტილით არის დაწერილი. 2.თავს ნუ
მოიტყუებენ დოკუმენტი ყალბი არ არის, რადგან შესამჩნევია როგორც ქაღალდის,
ისე მელნის შემოწმება. 3.დოკუმენტი ერთდროულ მისიას შეეხება თუ სხვა რამეს,
ამაზედ თვით დოკუმენტის შინაარსი ლაპარაკობს. 4.დოკუმენტში არსად არ არის
ნათქვამი, რომ დოკუმენტის მფლობელი იყოს ნოე ჟორდანიას ხელიერი ან პოლიტი-
კური მემკვიდრე. 5.იყავით დარწმუნებული, რომ ნოე ჟორდანიას დოკუმენტის და-
წერის დროს "მთავრობის ბევრი მინისტრი და დიპლომატები" ყველანი ჰყავდა შეყ-
ვანილი საქმის ყურში. ნოე ჟორდანიას არავითარ მეფურ ლეგალურ უფლებებისათვის
არ მიუმართავს და არც "გარეშე" და უცხო პირისათვის ძალაუფლება არ გადაუცია;
და თუ მან ვინმე დანიშნა მისი უფლება-მოვალეობის ფარგლებში, მას ამის სრული
უფლება ჰქონდა. 7.იმ უფლებათა ფარგლებში, რასაც დოკუმენტი იძლევა უდაოა
მის მფლობელს უფლება ქონდა ემუშავა და ახლაც აქვს უფლება მუშაობდეს. დოკუ-
მენტის მფლობელს სრული უფლება აქვს დოკუმენტი სრულიად არ გამოაქვეყნოს და
მხოლოდ საჭიროებისამებრ წარადგინოს ან 38 წლის შემდეგ გამოაქვეყნოს. საე-
რთოდ ამის კონტროლი არ არსებობს. რატომ იძულებული გავხდით, რომ ეს დოკუმე-
ნტი ეხლა გამოგვექვეყნებია, ამაზედ შეიძლება ვილაპარაკოთ სხვა პირობებში და
არა გაზეთში. 8.ახალი დოკუმენტი ნოე ჟორდანიას წინათაც გაუცია და რატომ მაი-
ნცდამაინც ამ დოკუმენტმა გამოიწვია ნოე ჟორდანიას "გამოსახულების გამქრქალე-
ბა"(საკვირველია, რომ სიტყვა "გამქრქალება" წერილის ავტორის ვინაობაზე მი-
გვითითებს). ადამიანი, რომელიც 1957 წლიდან,სამი თვის გამოკლებით, არის ზი-
ურის უცვლელი მდივანი, იმავე რიცხვიდან გაზეთ "ჩვენი დროშის" რედაქციის
მდივანი, დაარსების დღიდან ჯერ არქივის შემნახველი კომისიის წევრი და შემ-
დეგ მისი თავმჯდომარე, რომელიც თავიდანვე ითვლებოდა დოკუმენტების გადარჩევის
და მისი კატალოგის შედგენის პასუხისმგებლად, დასაწყისიდან ქართული მამულის
ასოციაციის და შემდეგ ადმინისტრაციის წევრად, შემდეგ 12 წელიწადზე მეტ
ხანს მისი მოადგილე, წლების განმავლობაში საკონტაქტო კომისიის წევრი და გასულ-
ში ნოე ჟორდანიას ყველა დავალების პირნათლად შემსრულებელი და შემდეგ მისი
მინისტრების, რატომ ფიქრობს ვინმე, რომ ამ ადამიანს მასამდე არავითარი ოფი-
ციალური თანამდებობა არ სჭერია!.. იმიტომ,რომ .სხვებივით ქუჩაში არ
ყვიროდა, როგორც ზოგიერთები? რაც შეეხება დოკუმენტის ვარგის-უვარგისობას
- მე არაფერს არ ვამბობ, რადგან ერთი ასეთი დოკუმენტი თავისდროზე ინგლისში
იქნა წარდგენილი სათანადო დაწესებულებაში, ერთი სტამბოლში და ერთი ანკარა-
ში თურქეთის ხელისუფლებისათვის, და სამი საქართველოში ქართულად ნოე ჟორდა-
ნიას რწმუნებისათვის არალეგალურ ორგანიზაციაში წარსადგენად, რომლებიდან
ერთი მაინც იქნება გადარჩენილი. თუ ამას დაუმატებთ ნოე ჟორდანიას წერილებს,
ფრანგულ პოლიციაში, ევგენი გეგეჭკორზე, ს.მენაღარიშვილებზე ან გუგუშვილზე
და საქმიანი წერილებს ჩემზე, რომლებთა ასლები ან ორიგინალები არქივში ინა-
ხება, საკმარისია, რომ ყველამ ჩაჩუმდენ და თავის ეზოს მიხედონ და სხვისას
თავი დაანებონ.



ლევილი, 1988 წლის სექტემბერი

NK 830

ქ:: მიველი ჯაჭვლი ინასარიძისაგან
1988 წლის 18 ოქტომბერს. [illegible]